

პიიპ. Nr.4

ფასი: 50 თეთრი

www.ai-ia.info

2011 წლის 24 მაისი-6 ივნისი

ვახტანგ გურული
**1918 წლის
26 მაისი**



გვერდები 2-4

ნოე ჟორდანია
**ეროვნული
საბჭოს
სხდომაზე
წარმოთქმული
სიტყვა**



26 მაისი


გვერდი 5

მერაბ კოსტავა
თავისუფლება
გვერდი 6

საქართველოს
რესპუბლიკის
პრეზიდენტის
მარად
აქტუალური
ვიდეო-მიმართვის
სტენოგრაფიული
ჩანაწერი

გვერდი 7





ფოტოზ: ისტორიკოსი ვახტანგ გურული

1918 წლის 26 მაისი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

XX საუკუნის დამდეგიდან ქართული ეროვნული მოძრაობა ახალ შინაარსს იძენს. ახალი შინაარსი თავისთავში შეიცავდა ორ მომენტს:

პირველი: ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძეს, მის ეროვნულ პროგრამას პირდაპირი და უშუალო მემკვიდრე არ აღმოაჩნდა. ანუ სამოღვაწეო ასპარეზზე არ ჩანდა პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკური ძალა, რომელიც პირდაპირ, ცალსახად განაცხადებდა, რომ აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს. ცხადია ეს მოვლენა შეიძლება მხოლოდ უარყოფითად შეფასდეს.

მეორე: ქართულ სინამდვილეში ჩაისახა და ფართო გაქანება პოეზია ორმა მოვლენამ: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის მოძრაობამ. ეს მოვლენები ცხადია დადებითად უნდა შეფასდეს. ქართულ სინამდვილეში ჩასახული ორივე მოვლენა (ერთი უარყოფითი და მეორე დადებითი) თავისი ბუნებრივი გზით განვითარდებოდა, რომ არ დაწყებულიყო პირველი მსოფლიო ომი (1914 წ.).

პირველმა მსოფლიო ომმა კარდინალურად შეცვალა ვითარება მთელ მსოფლიოში, მათ შორის რუსეთსა და საქართველოში. შესაბამისად შეიცვალა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, საერთოდ პოლიტიკურ ძალთა სამოქმედო გეგმებიც. პირველი მსოფლიო ომის გამო გართულებული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაართულა მეორე მოვლენამ – რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელმაც პირისაგან მიწისა ადგავა რუსეთის იმპერია. 1917 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა რუსეთის იმპერიის მთავრობის სამართალმემკვიდრის – რუსეთის დროებითი მთავრობის შემადგენლობა, ხოლო 3 მარტს ტახტიდან გადადგა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II. რუსეთის იმპერიის აღსასრულმა სულ მოკლე დროში უკვე მეორედ კარდინალურად შეცვალა ვითარება რუსეთსა და საქართველოში. უმთავრესი ამ ცვლილებაში ის იყო რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელსაყრელი ვითარება შეექმნა თავისი პროგრამის რეალიზებისათვის.

თბილისი ამ დროისათვის წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოს არამედ მთელი კავკასიის ცენტრს. ქართულ ეროვნულ ძალთა გვერდით, თბილისში ორგანიზებას სომეხთა და აზერბაიჯანელთა ეროვნული ძალები ცდილობდა.

ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომისთანავე რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, რუსეთში დიდი პოპულარობისა და ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქართველმა სოციალ-დემოკრატმა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ თავისთან იხმო გიორგი (გოგიტა) ფაღავა და ტელეგრაფში თბილისში გადასაცემად გაატანა დეკლარაცია ტექსტი. კონსპირაციის მიზნით დეკლარაცია ტექსტში ქართული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაწერილი: „მთავ-

ვახტანგ გურული – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა 1953 წელს, 1971-1976 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1976-1980 წლებში ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1980-2009 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. მინიჭებული აქვს პროფესორის სამეცნიერო წოდება. ლექციებს კითხულობდა საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში (XIX–XXI სს.). 2009 წლიდან მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც კითხულობს ლექციებს შემდეგ სასწავლო დისციპლინებში: „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა“, „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია“, „საქართველო და გარესამყარო“. ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, პოლონურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს ხუთასზე მეტი ნაშრომი (მონოგრაფია, დოკუმენტების კრებული, საშუალო სკოლისა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, სტატიები და სხვ.). მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოვიდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები: „საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე“, „საქართველოს ისტორია XX საუკუნე“.

რობაზე გარდაიცვალა. შეატყობინეთ ნათესავებსა და ახლობლებს.“ სწორედ ამ ტელეგრამით გაიგეს თბილისში რომანოვების იმპერიის აღსასრული. თბილისი კავკასიის სამეფისნაცვლის ადმინისტრაციის ცენტრს წარმოადგენდა. ბოლო მეფისნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ რომანოვი იყო. როგორც კი ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადადგომის ამბავი შეიტყო მეფისნაცვალმა, თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქის თავი ა. ხატისოვი, ასევე პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმომადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა მასთან შეკრებილთ ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე.


რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატებმაც კი ვერ შეძლეს ვითარებაში გარკვევა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამით ისარგებლა რუსეთის დროებითმა მთავრობამ და კავკასიის სამეფისნაცვლოში დანიშნა ხელი-სუფლების სამხარეო ორგანო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი. ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ეროვნულ ძალებს შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ოზაკომის ფუნქციონირებას, მაგრამ ეს არ მოხდა. პოლიტიკურმა პარტიებმა ოზაკომთან თანამშრომლობა არჩიეს. მიუხედავად ამისა, ოზაკომი ბოლომდე დარჩა სამხარეო ხელისუფლების უსუსურ ორგანოდ. რომ არა კავკასიის ფრონტზე განლაგებული რუსეთის არმია ოზაკომი საერთოდ ვერ შეძლებდა თავისი ფუნქციების შესრულებას.

ქართულ პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით პირველი ნაბიჯი მხოლოდ 1917 წლის აპრილის დამდეგს გადაიდგა. აპრილში შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებების ჩატარება. ამ კრებებზე წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა და ზოგიერთი არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა, ინტერპარტიულმა კრებებმა სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა შეძლეს. ეს პროგრამა შემდგომში პერიოდულად იხვეწებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წლის აპრილიდან მომდევნო თვეებში ინტერპარტიული კრების მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა ორგანიზაციული თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადადგეს და 1917 წლის აგვისტოში საქართველოს ინტერპარტიული საბჭო შექმნეს. არც საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე და არც საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა. ეს ძირითადად განპირობებული იყო სოციალისტური ორიენტაციის ძალების (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სოცი-

ალისტ-რევოლუციონერების) პრორუსული ორიენტაციით. თუმცა დამკვიდრებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანებში არც ეროვნულ-დემოკრატებს წამოუყენებიათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. ყველაზე რადიკალური მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის შექმნა იყო. ეროვნულ-დემოკრატებმა რუსეთთან კონფედერაციული კავშირის დამყარების იდეაც წამოაყენეს, მაგრამ როგორც პოლემიკიდან გაირკვა ეს კონფედერაცია არსით იგივე ფართო უფლებებით აღჭურვილ ავტონომიურ ერთეულს უტოლდებოდა, ანუ პრაქტიკულად ეროვნულ-დემოკრატებიც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით აღჭურვილი საქართველოს ავტონომიის იდეას უჭერდნენ მხარს. სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ის, რომ თვალაპირვლად ძალზე პოპულარული იყო რუსეთის შემადგენლობაში არა საქართველოს ავტონომიური, არამედ ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის შექმნის იდეა.

ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ცხარე პოლემიკას დასასრული არ უჩანდა, როცა უკვე მესამედ კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა პეტროგრადში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს და რუსეთის კანონიერი დროებითი მთავრობა დაამხეს. დროებითი მთავრობის სამართალმემკვიდრე საბჭოთა რუსეთის მთავრობა იმთავითვე შეუდგა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნას. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მისი პოლიტიკური ლიდერები (ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი და სხვ.) სამკუდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის მებრძოლ ძალებს, მათ შორის ქართულ ეროვნულ მოძრაობას. რუსული ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ბუნების კარგად მცოდნე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების – ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნოე რამიშვილის, ეგენი გეგეჭკორისა და სხვათა ინიციატივით მოხდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება და 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირებას შეუდგა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ახალი ორგანო - ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე ეგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურდათ წინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გაერცელებას. ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, თუმცა შესაძლებლად მიანდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის

შემდეგ რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის არსებობა.



ფოტოზ: აკაკი ჩხენკელი (1874-1959)

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) ინიციატივით მოწვეული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობა თბილისში 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა. იმის გამო, რომ ყრილობაზე სოციალისტური ორიენტაციის ძალები (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) სჭარბოდნენ ეროვნულ ძალებს (ეროვნულ-დემოკრატებს, უპარტიოებს), ყრილობამ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პრორუსულ ორიენტაციაზე იყო საუბარი იგულისხმებოდა არა საბჭოთა, ბოლშევიკური რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი. ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ თუ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება არ დაემსობოდა და დემოკრატიული წყობილება არ გაიმარჯვებდა, მაშინ უნდა მოწვეულიყო საქართველოს დამფუძნებელი კრება. ყრილობის დოკუმენტებში არ ჩაწერილა, მაგრამ ნაცხებით ცხადი იყო, რომ დამფუძნებელ კრებას უნდა დაკისრებოდა ერთადერთი მისია – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ამ იდეის რეკლამირება მაშინ არ ხდებოდა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ პრორუსული ორიენტაციის დადასტურება შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული.

იმ ხანად, ოსმალეთის (თურქეთის) არმიის შემოტევისაგან საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიას რუსეთის არმია იცავდა. პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატების ის ნაწილი, რომელნიც პრორუსულ ორიენტაციას უჭერდა მხარს და საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეის რეკლამირებას არ ახდენდა, ამტკიცებდა, რომ ანტირუსული ლოზუნგებით რუსეთის კავკასიის არმიაში მღელვარების გამოწვევა შეიძლებოდა. ამის საბაბი ნამ-

დვილად იყო. ამიერკავკასიის კომისარი-ატის შექმნა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფად აღიქვა, არმიის სარდლობა იმუქრებოდა, რომ ფრონტის ხაზს მიატოვებდა და არმიას რუსეთში დააბრუნებდა. თბილისიდან სპეციალურად გაგზავნილმა პოლიტიკოსებმა შეძლეს რუსი გენერლების დარწმუნება, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი არ ცნობდა და ემიჯნებოდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მთავრობას და არა მომავალ დემოკრატიულ რუსეთს. პირველ ეროვნულ ყრილობაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის დიად და ფართოდ რეკლამირება ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობამ საშიშად მიიჩნია. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის წამოყენების შემთხვევაში, რუსეთის არმია ან ფრონტის ხაზს მიატოვებდა და საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, რაც გზას გაუხსნიდა ოსმალეთს საქართველოს ოკუპაციისათვის ან რუსეთის არმია თვითონ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. რუსეთის არმიის კეთილგანწყობის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. მართალია ამ დროისათვის რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობა არ სცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, მაგრამ არავინ არ იცოდა, მომავალში რა პოზიციაზე დადგებოდა არმია. სწორედ ამ რეალურ საფრთხეს გაუწიეს ეროვნულ-დემოკრატიებმა ანგარიში, როცა მათთვის არასასურველ პრორუსულ ორიენტაციას დაუჭირეს მხარი.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო, აირჩია, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას გახდა. გარდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებისა, ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნენ უკვე იმხანად და მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები: დიმიტრი უხნაძე, ალექსანდრე წერეთელი, გრიგოლ ნათაძე. ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა მიქელაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი.

საქართველოს მომავალი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთსა და მსოფლიოში. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არც მალავდა თავის მტრულ დამოკიდებულებას ქართული ეროვნული მოძრაობისადმი, ბოლშევიკები რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე უნიტარული სახელმწიფოს შექმნას ესწრაფოდნენ, მათთვის მიუღებელი იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე არა მარტო ეროვნული სახელმწიფოების აღმოცენება, არამედ რუსეთის შემადგენლობაში ეროვნული ავტონომიური ერთეულებისა და ფედერაციული ოლქების შექმნაც კი. სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომის პირობებში ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს ჯეროვან დახმარებას ვერ უწევდნენ. ეს აშკარად გამოჩნდა 1917 წლის 8 დეკემბერს თბილისში ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ) დიპლომატთა და სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტის დროს. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეხვედრისას, ევროპელმა დიპლომატებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარს ვერ დაუჭერდნენ, ხოლო ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში ქართველებს ვერც შეიარაღებით და ვერც ფულით ვერ დაეხმარებოდნენ.

საბჭოთა რუსეთმა მალე გამოაჩინა ნამდვილი სახე. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად, რუსეთის კავკასიის არმია გაიხრწნა და უმართავ ძალად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა სწორედ ამ სამხედრო ძალით მოეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში, კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზი მიატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახლად შექმნილმა ქართულმა რეგულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის

შეჩერება. რუსები იძულებული გახდნენ თბილისის ოკუპაციაზე ხელი აეღოთ და ბაქოსაკენ დაიხიეს. რუსეთის ვერავული გეგმები საქართველოს მიმართ მალე სხვა მხრივაც გახდა საცნაური. 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკში, საბჭოთა რუსეთმა გერმანიის იმპერიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) სეპარატიული ზავი დადო. ზავის პირობების თანახმად რუსეთის არმიას უპირობოდ უნდა დაეტოვებინა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია (ანატოლია). რაც შეეხება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილს (იმჰამინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმის, ყარსის და არტაანის ოკრუგებს), რომელიც 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, რუსეთის არმია ასევე ტოვებდა. ამ ოკრუგების მოსახლეობას ოსმალეთთან და რუსეთთან შეთანხმებით თავად უნდა გაერკვია საკითხი თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება. ზავის პირობებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ხსენებული ოკრუგების თვითგამორკვევის პროცესში უპირატესობა ოსმალეთს ენიჭებოდა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ სცნო. იგი ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგებზე იურისდიქციის დათმობას არ აპირებდა. ოსმალეთს ომის გარეშე უნდოდა აღნიშნული ტერიტორიების ხელში ჩაგდება. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში მოლაპარაკება დაიწყო. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პრაქტიკულად ოსმალეთი მოლაპარაკების გამართვას არც აპირებდა. ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ის რუსეთის ნაწილია და რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება უნდა სცნოსო. ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უპირობოდ ცნობა მოსთხოვეს. ვითარება დაიძაბა. ამ დროისათვის თბილისში უკვე შეკრებილი იყო ამიერკავკასიის პარლამენტი - სეიმი, რომლის თავმჯდორედაც კარლო ჩხეიძე იქნა არჩეული. ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთთან მოლაპარაკების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ამის საპასუხოდ ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა და 1918 წლის 1 აპრილს ბათუმში დაიკავა. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ოკუპაციაც მოახდინეს. 1918 წლის 22 აპრილს, ამიერკავკასიის სეიმმა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. ამის შემდეგ, ოსმალეთს ვეღარ უნდა წამოეყენებლა ის არგუმენტი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის ბათუმში გაემგზავრა, რომელიც იმხანად უკვე ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ბათუმში დელეგაციათა დონეზე პრაქტიკულად ერთადერთი შეხვედრა გაიმართა 1918 წლის 11 მაისს. შემდგომ დღეებში კერძო შეხვედრები მიმდინარეობდა. ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციის შეხვედრას გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი, გენერალი ოტო ფონ ლოსოვი ესწრებოდა. ოსმალებმა ამჯერად ახალი პრეტენზია წამოაყენეს: მართალია ამჟამად ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების მომენტში იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო, ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაციას არა აქვს უფლება ხელშეკრულების პირობების შეცვლა მოითხოვოს. უფრო მეტიც, ოსმალებმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს. ოსმალეთის დელეგაცია ომის შემთხვევაში ჯარების გადასაყვანად ამიერკავკასიის რკინიგზის თავისუფლად გამოყენების უფლებას ითხოვდა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოსმალეთის არმია მდინარე ჩოლოქთან იდგა. ოკუპირებული იყო მთელი სამხრეთ საქართველო ბორჯომამდე. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერე-

ბისათვის აუცილებელი სამხედრო ძალა ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს არ გააჩნდათ, უფრო მეტიც აზერბაიჯანი ოსმალეთს აგრესორად არც განიხილავდა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე გაირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შინაგანი წინააღმდეგობა ღრღნიდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქართველები გერმანოფილურ, სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილურ ორიენტაციას აღიარებდნენ. გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში, გერმანიის იმპერია ამიერკავკასიის ფედერაციას ოსმალთის აგრესიისაგან ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ, მათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინათ, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. გენერალი ოტო ფონ ლოსოვი ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე იშუამდგომლებდა. აკაკი ჩხენკელმა, 1918 წლის 12 მაისით დათარიღებულ ბათუმიდან გამოგზავნილ ორ წერილში, საქართველოს ეროვნულ საბჭოს შექმნილი ვითარების თაობაზე მოახსენა. იგი ეროვნულ საბჭოს აფრთხილებდა: საქართველოსათვის ოსმალეთთან ომის წარმოება დამღუპველი იყო. ამასთან ერთად, აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსის აღიარებას სთავაზობდა.

თბილისში თითქმის ყოველ დღე იმართებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი სხდომა. 1918 წლის 14 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობკია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სიდიბისტრო ჯიბლაძე. მოწვეული სტუმრის სტატუსით სხდომას ესწრებოდნენ შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა. სხდომას თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ გაანალიზა შექმნილი ვითარება და ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაუგზავნა შემდეგი მითითებები: 1) ეცნობოს ბათუმის საზავო მოლაპარაკებაზე გერმანიის იმპერიის წარმომადგენელს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რომ ეროვნული საბჭოს თხოვნაა გერმანიამ ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს; 2) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რათა სათანადო ღონისძიებანი გატაროს ჩრდილო კავკასიაში გერმანიის ჯარების წინსვლის დასაჩქარებლად, რათა შესაძლებელი გახდეს გერმანიის ჯარებთან კავშირის დამყარება; 3) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების საქართველოში ორგანიზებულად დაბრუნებას; 4) ეთხოვოს გენერალ ოტო ფონ ლოსოვს ვიდრე

გერმანიიდან ქართველი სამხედრო ტყვეების დაბრუნების საქმე მოგვარდებოდეს, მოხდეს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეების სამხედრო რაზმად ორგანიზება გერმანელი ოფიცრის მეთაურობით, რათა საჭიროების შემთხვევაში გერმანელთა სამხედრო ძალა გამოყენებული იქნას საქართველოში შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად. მოგვიანებით გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შედგენილი რაზმი გერმანელი ოფიცრის მეთაურობით გადაყვანილი იქნა გურიის ტერიტორიაზე, სადგურ ნატანებთან, ხოლო შემდეგ მდინარე ჩოლოქის ნაპირას. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე მდგარმა ოსმალეთის არმიის ნაწილებმა ვერ გაბედეს გერმანიის იმპერიის არმიის ფორმაში გამოწყობილი გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შექმნილი სამხედრო დანაყოფის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის დაწყება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გერმანოფილური ორიენტაციის აღიარება შექმნილ ვითარებაში ერთადერთი და სწორი გამოსავალი იყო. ოსმალეთი გერმანიის მოკავშირეს წარმოადგენდა, ამიტომ მას ანგარიში უნდა ეავწია გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებისათვის. გერმანოფილური ორიენტაციის საქართველოს ოსმალეთის მხრიდან აგრესიული ქმედებების შიში აღარ უნდა ჰქონოდა. სხვა სახელმწიფოების დახმარებით ოსმალეთის საფრთხის განეიტრალება შეუძლებელი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი ასევე გარკვეული საფუძველი გააჩნდა. გერმანიას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციები არ გააჩნდა. მახლობელ აღმოსავლეთში პოზიციის მოპოვებისათვის საქართველო გერმანიისათვის წარმოადგენდა პლაცდარმს. სწორედ აქედან შეიძლებოდა დაეწყო გერმანიას მისი კონკურენტების შევიწროება მახლობელ აღმოსავლეთში. საქართველო მით უფრო ფასობდა გერმანიისათვის, რომ სომხეთს ანგლოფილური, ხოლო აზერბაიჯანს თურქოფილური ორიენტაცია ეკავა. გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი ზრდიდა ისიც, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში თანდათან ძლიერდებოდა ანტირუსული განწყობილება.

1918 წლის მაისში ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი ჩხენკელი არწმუნებდა ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალური იყო. აკაკი ჩხენკელი დაუინებით ირწმუნებოდა, რომ ხსნის ერთადერთი გზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო.

1918 წლის 16 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშა-

ფოტოზე: გერმანიის ჯარები თბილისში, 1918 წელი



პელი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი. სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანი, მდივობდა დავით ნახუცრიშვილი. სხდომამ განიხილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების საკითხი. დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებლად შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი, დავით ვანნაძე და შალვა მესხიშვილი.

სამთა კომისია მუშაობას ენერგიულად შეუდგა და მეორე დღისათვის უკვე მზად ჰქონდა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად 1918 წლის 17 მაისს კვლავ შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესრნენ: გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა. სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: დავით ვანნაძე, შალვა მესხიშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, პოლკოვნიკი კარგარეთელი, პოლპოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე.

შექმნილ ურთულეს სამხედრო პოლიტიკურ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისათვის თბილისის დაცვას. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამთა კომისიამ აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხები: 1) ვისთვის ჩაებარებიან თბილისის დაცვა; 2) რომელი ორგანო უხელმძღვანელებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეს. აღმასრულებელმა კომიტეტმა მსჯელობის შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1. თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები; 2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ვლადიმერ ახმეტელი, ხოლო მის მოადგილედ პოლკოვნიკი ნაქერელიძე. გენერალმა ვლადიმერ ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერელიძემ იმუშაონ ქართული კორპუსის მეთაურის გენერალ ვასილ გაბაშვილის ხელმძღვანელობით. 3. დამოუკიდებლობის გამოცხადებას უხელმძღვანელოს იგივე სამთა კომისიამ, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ბათუმში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. ოსმალეთის დელეგაცია კომპრომისზე არ მიდიოდა, კომპრომისზე არ მიდიოდა არც ამიერკავკასიის დელეგაცია. აკაკი ჩხენკელს რამდენიმე კერძო შეხვედრა ჰქონდა გენერალ ოტო ფონ ლოსოვთან. გენერალმა დაადასტურა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, იგი შუამდგომლობას აღძრავდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეკისრა საქართველოს დაცვა. 1918 წლის მაისის შუა ხანებისათვის ასეთი ვითარება იყო შექმნილი: სომხეთის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ასევე ოსმალეთის ჯარების ეკავა, აზერბაიჯანი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად არ განიხილებოდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ თუ საქართველო გერმანიის გარანტიით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გამოაცხადებდა, მაშინ საქართველოს ოკუპაცია ოსმალეთისათვის გერმანიასთან ურთიერთობის გაფუჭებას ნიშნავდა. ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება ოსმალეთს ხელს არ აძლევდა. ამიტომ არსებობდა საფრთხე, რომ ოსმალეთს საქართველო მანამდე დაეპყრო, სანამ იგი გერმანიის გარანტი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ამ საფრთხის თაობაზე აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და დამოუკიდებლობის გამოცხადების დანქარებას ითხოვდა. ზოგიერთი პოლიტიკოსი ვითარებაში ვერ გაერკვა და საკმაოდ გულუბრყვილი კითხვა დასვა: რა

მნიშვნელობა აქვს ოსმალეთი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაგვიპყრობს, თუ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ? ამაზე აკაკი ჩხენკელი თავის წერილში პასუხობდა: თუ ოსმალეთმა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიპყრო, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ის დაიპყრობს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს; დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობა განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დაპყრობა და ამდენად საქართველოს ექნება სამართლებრივი საფუძველი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

თბილისში ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე (დღე-

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, -თავის პირველსავე სხდომაზე აღიარებს, რომ ის თავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და მესაფერისი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებული კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

დამსწრეთ ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი გააცნო, რომელშიც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დანქარებას ითხოვდა. შემდეგ ნოე ჟორდანიამ განმარტა, რომ 25 მაისს, საღამოს 10 საათზე ამიერკავკასიის სეიმი უნდა შეკრებილიყო, რომელიც დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას. სომხების და აზერბაიჯანელების მოთხოვნით სხდომა 26 მაისის დღის 12 საათისათვის გადაიდო. ნოე ჟორდანიამ შემდეგი წინადადება შემოიტანა: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებისათვის მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-



ფოტოზე: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი (1881-1930)

ებდა. ამის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისთავად გადაიდო 26 მაისისათვის. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება დაევალი ნოე ჟორდანიას. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განსაზღვრა სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა.

1918 წლის 26 მაისს, რუსთაველის (გოლოვინის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევს 3 საათზე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, სადაც სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს 4 საათზე და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი. საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანი. სიტყვის დამთავრების შემდეგ, მან „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ წაიკითხა. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შემდეგ, ნოე ჟორდანიამ, ეროვნულ საბჭოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის შემადგენლობა წარუდგინა, რომელიც უცვლელად დამტკიცდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: ნოე რამიშვილი - მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, აკაკი ჩხენკელი - საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე - სამხედრო მინისტრი, გიორგი ჟურული - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი - სახალხო განათლების მინისტრი, ნოე ხომერიკი - მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, შალვა მესხიშვილი - იუსტიციის მინისტრი, ივანე ლორთქიფანიძე - გზათა მინისტრი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა ნაშუადღევს 5 საათზე და 55 წუთზე დასრულდა. სხდომის დასრულების შემდეგ, ნოე რამიშვილმა, მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრაფით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება ამცნო.

ვანდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა) მდებარეობდა, დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი, ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. შექმნილი ვითარების შეფასების მიზნით საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაინიშნა, რომელიც 25 მაისს, დამის 11 საათზე გაიხსნა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანი, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბრისტო ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დიმიტრი ვანნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგუჭკორი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანი, მდივობდა ნახაუცრიშვილი. ნოე ჟორდანიამ

ტის რამდენიმე წევრმა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყოვნებლივ – 25 მაისს. ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანი. თავისი მოსაზრება მან ასე დასაბუთა: სანამ არ დაშლილა ამიერკავკასიის ფედერაცია, შეუძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან მოხდება ისე, რომ ერთი და იგივე ტერიტორიაზე იმოქმედებს ორი მთავრობა. ბოლოს გაიმართა კენჭისყრა. კენჭი ეყარა საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“. დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ, 25 მაისს, გამოცხადებას ხმა მისცა 6 წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას – 4 წევრმა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხადება მაინც

ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭირო-

ნოე ჟორდანიას სიტყვა ეროვნული საბჭოს სხდომაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს

1918 წლის 26 მაისი

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის, იშვიათის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი,ახლა ამავე დარბაზში ყვერები საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორი სახელმწიფოს შორის,რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვედრეთით,დარწმუნებული უნდა ვიყოთ,მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა.

საქართველოს ახალი სახელმწიფო,რომელიც დღეს არსდება,არ იქნება მიმართული არც ერთის ერის,არც ერთის ხალხის,არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქართველებისაგან დაიფაროს თავისი თავი და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც,ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდი განსაცდელში.

თქვენ კარგად იცით,საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავისის არსებობის დასაცველად. ის საუკუნოებით იბრძოდა,რათა თავისი სულიერი ვინაობა,ნაცოინალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას. ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში. მეტსაც ვიტყვი, ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეც აგრეთვე სხვების დასაცველად. ეს დიადი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძად დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა,რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება - შეუსაბამოს თავისი ინტერესები სხვა ერთა ინტერესებს. სწორედ ამიტომ არც ერთი ერი - ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენი სახელმწიფოს გარე მყოფი,არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე აღელვებას,სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

განა დღეს სეიმში არ განაცხადეს ორატორებმა,რომ არ არის ისეთი ერი,რომელიც ცუდად იხსენიებდეს ქართველ

ერს? ეს არის იმის თავმდები,რომ ახალი სახელმწიფო,ახალი მთავრობა საეხებით გაამართლებენ ამ იმედებს. მსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეთ და ჩვენს შორის მყოფ ერებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ერის დიდ ტრაგედიას,რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს,ხოლო მეორე ნაწილი - ჩვენს გარეთ. ეს არის სომხობა. ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობაც გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას პოვებს ჩვენში,რომელსაც პოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის.

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან - მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა,რომ მათ მოგვბაძონ, დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ. ამასთანავე ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფი ერებისა იქნება მკვიდრი საფუძველი,რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ. ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვადასხვა ერის უმცირესობა. ვაცხადებთ,რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი,როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა. ეს ერნი, შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ, შეპკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენის ქვეყნის ფარგლების გარეთ იმყოფებიან და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი,რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაღუპულს სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი.

ამრიგად,ჩვენი სავალი გზა,ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი - სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი,მთლიანი წარსდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს. აი,მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის,რაც სეიმმა ვერ შექმნა. და ის,ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერკავკასიის ფარგლების გარეთ, შესაძლებელია კვალად მოუბრუნდეს და საერთო

ისტური ინტერესების გასამარჯვებლათ ქართველი ერის ხარჯზე, ასე მირბიან მოსკოვის კარზე დღესაც ამ დაბეჩავებული ერის ნამძირალები. და ასე სწუწნიან ხალხს მისი შინაური და გარეშე მტერი შეერთებული ძალებით. რით უძლებს ამ სვავებს ერი? მხოლოდ ერთი თვისებით—მორალური ძლიერებით, ერთათ დგომით, საერთო შინაური ფრონტით, მაგარი სულით და გაუტეხელი ნებისყოფით, მტერი მას არ შეუყვარდება, მტერმა ეს კარგად იცის და ცდილობს მას შემოუაროს მისი მორალის გაცეხით, მის მეზრძოლთა შორის შუღლის გაჩაღებით, ფრონტში ფრონტის შექმნით და ხალხისთვის ამ გზით ზურგიდან მახვილის ჩაცემით. გაყავი და იბატონე. გზა ძველი, გაცვეთილი, მაგრამ მუდამ ახლათ ამუშავებული. ამ ხაფანგს მუდამ გასავალი აქვს დაბნეულთა და მერყევ ელემენტთა შორის.

პოლიტიკა ბრძოლაა; ამ ბრძოლას ესაჭიროება შესაფერი აპარატი, ურყევი ორგანიზაციები; დაცვა ამ აპარატის გარეშე მტრისაგან ადვილია თუ მას ზურგზე მაგარი აქვს, თუ შინაური მტრისაგან დაცულია. გაყოფილ ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან. ვისაც ეს ესე არ ესმის—მეზრძოლი არ არის, პოლიტიკაში შემთხვევით შემოხიზნულია, მარტო დმერთო, ღმერთის ძახილთ სამოთხეში ვერავინ შევა. 26 მაისს ესაჭიროება შესაფერი საქმე, გზა მისკენ მიმავალი. ის ითხოვს ბრძოლის მეთაურთა ისეთსავე მორალურ ძალას და ერთობას, როგორიც არის თვით ხალხში. დაადევით ყური დედამიწას და გაიგონებთ საქართველოს მიწის გამომახილს, გაიგონებთ ქართველი ერის სულისთქმას, მაჯისცემას და მიაგნებთ ნამდვლ გზას. საქართველოს აქვს პოლიტიკური ხერხემალი, ის მტერმა ვერ გასტეხა და ვერც გასტეხს. ამ ხერხემლის რგოლებია იქ, სამშობლოში, სოციალ—დემოკრატიული ორგანიზაციები და მასთან დაკავშირებული სხვა ანტისაბჭოთა პარტიები, აქ ნაციონალური მთავრობა და მის ირგვლივ დაწყობილი პარტიული ორგანოები. ამათი არსებობა დამოკიდებულია ქართველ ხალხზე, პასუხს აგებენ მათ წინაშე და არავითარ გარეშე ძალას არ ძალუძს მათი გაუქმება და გზიდან გადადგება.

ნაციონალურმა მთავრობამ მიიღო მანდატი დამფუძნებელ კრებისგან, მას შეეყურებს ტანჯული ერი და ის დარჩება თავის პოსტზე ბოლომდე, გამარჯვებამდე. 26 მაისი მისი დროშაა, ის მისი უმაღლესი გამომხატველი და დამცველია და მას ვერ დასწევს, ძირს ვერ დაუშვებს ვერავითარი საგარეო მომენტების წინაშე. საქართველოს ოფიციალური ლეგა-



ფოტოზე: ნოე ჟორდანია (1868-1953), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლის 24 ივლისიდან

დროშის ქვეშ დადგეს. ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება.

ახლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე,რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

თავმჯდომარე კითხულობს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“.

26 მაისი

ეს მეცამეტეჯერ ვდღესასწაულობთ 26 მაისს საზღვარგარეთ. ეს მეცამეტე წელია ქართველი ერი ამ თავის აღდგომის დღეს ვერ დღესასწაულობს, მას შესაფერი ვერ ეგებება და უფლებააყრილი, ტყვედქმნილი, მას მხოლოდ თავის გულში ატარებს, ამ დღეს აქ და იქ გადმოხვეწილი ქართველი და სამშობლოში მყოფნი ფიქრობენ ერთნაირათ, უცემთ გული ერთხმიანათ, შედუღებულნი ერთი იდეალით. ეს იდეალი იყო, არის და იქნება ერის ტყვეობისაგან განთავისუფლება, წართმეული თავისუფლების დაბრუნება.

ამ დროშის გამარჯვების თავდებია ერთი პირობა—ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, მისი მორალური ძალა, დაუშრეტელი ენერგია, თავის თავის ერთგულება და მტერმოყვარის გარჩევა, ყველა ეს თვისება ქართველობის სამკაულია, მას ის თან ახლავს მუდამ, ამით მოდის ის ისტორიის ეკლიან გზაზე და გადმოიჭურა არა ერთი და ორი აზოზოქრებული ტალღები. რამდენი ძველი ხალხი ჩაიხრჩო ამ ტალღებში, რამდენი მისი თანამგზავრნი დაეცნენ შუა გზაზე: ფეხზე, თავის მიწა—წყალზე დარჩა ჩვენი პატარა ერი და ძველებურათ, იმედიანად გაყურებს მომავალს.

ერი მორალური პიროვნებაა, მას აქვს თავისი ეთიკა, თავისი დისციპლინა, თავისი კალაპოტი, რომლისაგან ამოვარდნა მას ღუპავს, ის იძულებულია ამოვარდნილ ისტორიულ გრიგალს პირდაპირ დახვდეს, გული მიუშვიროს და შეებრძოლოს. მას არ შეუძლია დამალვა, გაქცევა, გადახვეწა. ამ ნიადაგზე მაგრათ მდგომი, ის აძლიევს სავალ კალაპოტს, სამუშაო ხაზს მოწინავე მეზრძოლთ, მედროშეთ და წინამძღვართ. მისი მეთურია მხოლოდ ის, ვინც ამ კალაპოტში რჩება, მისი დროშაა მხოლოდ ის, რომელიც მის ტანჯვა—ვაებას აღბეჭდავს. ხალხი თავის თავს ვერ გადუხვევს, ეს მისი ბუნებაა, კერძო პირი კი მოკლებულია ამ სტიქიას, მისი გზაკვალი განუსაზღვრელია, უსწორმასწოროა. მისი გადახვევა—გადმოხვევა, ბუდიდან ამოვარდნა, კერძო ინტერესის საზოგადოებაზე მაღლა დაყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც უბედურობა თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას წარსულში და დღეს, სწორეთ ამ მიზეზით აიხსნება. მუდამ ხალხს მოსწყდებოდა მთელი წყება წყალწყაებული ადამიანების და მათ მოველინებოდა ბატონათ და მტანჯველათ უცხო ძალასთან დაკავშირებით. ესენი მირბოდნენ წინეთ ჯერ სპარსეთში, შემდეგ რუსეთში თავიანთი ეგო-

ცია იქნება თუ არა საფრანგეთში—ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ ნაციონალური მთავრობა იქნება, მისი გამაუქმებელი ძალა უცხოეთში არ არის; მისი გაუქმება შეუძლია მხოლოდ მის შემქმნელს, მის დედას—ქართველ ერს.

საქართველოს მისი ორი ათასი წლის ისტორიის მანძილზე დღეს პირველათ ყავს თავისი საკუთარი პოლიტიკური წარმომადგენელი ევროპაში, პირველათ ყავს აქ პოლიტიკური ემიგრაცია. ყველა წინანდელი ემიგრაცია არ გამოჩენია სპარსეთს, ოსმალეთს და რუსეთს. ევროპის ფართე წრეებმა პირველათ ახლა გაიგო ჩვენი ერის სულისკვეთება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი ლტოლვილება. თუ წინეთ ის გადაბმული იყო დასავლეთთან კულტურულათ, ახლა ის გადაება პოლიტიკურათ, ადამიანების საშუალებით. ეს დიდი მისიაა, ეს დიდი როლი, რაიცა წილათ ხვდა გადმოხვეწილ ქართველობას, უნდა იქნას შესრულებული ღირსეულათ, მოვალეობის შეგნებით და ერთგულებით. დაქსაცხულობა, დანაწილება, ერთიმეორის წინააღმდეგ დარაზმვა მიუტევებელი დანაშაულობაა ერის და ისტორიის წინაშე. საქართველოს პირველმა პოლიტიკურ ემიგრაციამ უნდა აჩვენოს მაგალითი და იყოს ღირსეული წარმომადგენელი მეზრძოლი ერის გაუტეხლობის, სულის სიმაგრის, ერთობის და მთლიანობის.

26 მაისი ჩვენი გამაერთიანებელია, ჩვენი მთლიანობის სიმბოლოა, ჩვენი საერთო დროშაა. დღეს საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს შინაგანი განხეთქილების არც ერთი მომენტი, არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც კულტურული და საზოგადოებრივი. ჩვენ ყველა ვიზრძვით არსებობის ძირეულ უდაო და მოუცილებელ საფუძვლი-სათვის. ჩვენ გვინდა ვიყოთ ჩვენი თავის ბატონი და პატრონი, როგორც ერი, როგორც ხალხი, როგორც პიროვნება. ყველა ეს უფლება წართმეული გვაქვს და ეს საერთო უბედურება აერთებს ყველას, განურჩევლათ რწმენისა, პროგრამული სხვადასხვაობისა და სოციალური მდგომარეობისა. ჩვენ და ისინი, საქართველო და მისი მტარვალები, შუაში უფსკრულია, ხიდები წაღებული. 26 მაისი ჩვენი ხარტია, მათი სახრჩობელაა...

ნოე ჟორდანია
ლევილი, 1933 წელი

შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 7 ივნისს
www.ai-ia.info

1939 წლის 26 მაისს დაიბადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი მერაბ კოსტავა



ფოტოზე: საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა (1939-1989) პატიმრობაში, 1978 წელი

თავისუფლება

საკანი. სენაკს მაგონებს იგი, პატიმარი - მე-უდაბნოეს არანებაყოფლობით. ასე განსაჯეთ, აქ იძულებით უნდა დავატყვევო ჩემს თავს თავში უსასრულო წყება სურვილებისა, სამშენებლისეული ქოსის უმისამართო ენერგიით აღძრული ლტოლვები, რომელთა დასადავება, გათოკვა და ჭკუაზე მოყვანა მე-უდაბნოეთა, სოფლისაგან განდგომილთა სა-წუკვარი მიზანია.

მეც აღარ დავაყოვნე და უმკაცრესი კანონ-მდებელივით სანქცია დავადე ჩემს აბეზარ სურვილებს, გარდაუვალობის ძალით სა-თითაოდ დავატუსალე და შევუდექი მათ ულმობელ განკითხვას. გაუჩინარდა გოლუვი გველაშუა, ნაირფერად აელვარებული ხატე-ბა მათი. შეწყდა მათი მოუსვენარი, საყვედუ-რით აღსავსე სისინი. მოისვენა სხეულმა, და სადღაც, გონებაში აკიფდა სიმშვიდის მომ-ფენი კანდელი სულისმიერი.

სარკმელის დამხანჯლავი სინათლე შთენი-ლა მარტოოდენ ერთადერთ, ჩაუფერვლავ სურვილად. ცის ნაფლეთები მარადისობის ლურჯი იეზივით მოსდგომიან ცხაურის ვიწრო სამზერებს. თვალბუდეები ძლივსდა ამაგრებენ ამოსავარდნად გამზადებულ, უსასრულობით, მირაჟით დატყვევებულ თვალებს. შორს, კაბადონზე, იალქანივით ლაპლაპებს სივრცეში მონავარდე მტრედი, უცნაურად ენაშქვერობს იგი, როცა ფერწე-რის სიმსუბუქით პაერში ავლებს იდუმალ ხაზებს, ნეტა თუ ფიქრობს, ამ ფარულ ნიშ-ნებს აღმოუჩინოს სადმე წამკითხველი. ამა-ოდ, რადგან ისტორიის სათავეებთან აღმარ-თული გასაოცარი სახე კალხასისა ჩვენმა აკადემიურმა საუკუნემ არათუ ანაქრონიზ-მად, ბალობისყამინდელი „უმეცარი“ კა-ცობრიობის მონაჩხად მიიჩნია, როგორც ყოველივე მითოლოგიური.


რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინვე-ლო, შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექს-ტაზი სივრცეთა შთანთქმისა, ერთდროულ-ად ყველგან ყოფნის სურვილი. თავისუფ-ლება დაიხაჯ ჰგულისხმობს ყოვლისმომც-ველობას და შენ უთუოდ ჰფლობ მას სივრ-ცეში, რომლის სინაკლებესაც მომეტებულ-ად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგ-რამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსაპეტაკესო, კიდევ მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიდრ-ნენ და კუბოს ფიცრებივით შემომჭედონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი. შენ სივრცეებმა გასწავლეს ფრენა, მზემ ოქროს ცვარში ამოავლო სა-შურველი სითეთრე შენი სხეულისა. მი-წამდე დაჰყვინთავ და წამისყოფაზე უმაღ-დიდებულები მნათობის კალთასთან ნებიერ-ად ამოჰყვინთავ ფირუზოვან თვალსაწიერ-ის მეუფეც, მაგრამ ვერ მომატყუებს ეგ შე-

ნი თავდავიწყებამდე დაუცხრომელი ნავარ-დი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფ-ლება, არამედ მარტოოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლებისა, ნამდვილი თავისუფლება აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის, ხანგრძლივ მოწყენილო-ბაში იზადება იგი. უჩინარდება ისახება ენ-ერგიულ ფიქრებში, დაიდვრის, როგორც მდინარე მესხიერებისა და მიემურება ჩე-მივე ცხოვრების სათავისაკენ. დავიწყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასულ სახე-ებს, აქ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვე-ვებს, ნაფიქრ-ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვებულ სურათ-ხატებს. ხელახლა აცოცხ-ლებს, ახლებურად წარმოგვიჩენს მტერსა და მოყვარეს და შენში ჰზადებს ახალ თვალს, თვალს მსაჯულს, შენივე სიღრმისაკენ მიქ-ცეულს, რომელიც დაწვრილებით გამოიწე-ლილავს მთელს შენს წარსულს, შენს ნამო-ქმედარს, ნათქვამს, გულისნადებსა და ნააზ-რებს, ადამიანებისადმი მიმართებას, პი-რუთვნელობის უქცეველი სასწოროთ ას-წონის ყოველივეს, ნაწევარებს გაამთლიან-ებს, მიზეზებიდან გამოიყვანს შედეგებს და შედეგებიდან კვლავ მიგაბრუნებს მიზეზე-ბისაკენ, რითაც გასწავლის კითხვას დრო-ჟამისეულ კანონებში არეკლილი ზედისწერ-ის წიგნისას. დრო-ჟამისეულ მდინარეებში გასწავლის ნავარდს, ისე, ვით შენ დანავარ-დობ, საოცარო ფრინველო, უკიდევანო სივრცეში, სინანულის საკურთხეველთან განზანდილს, სინდისის ცეცხლში გამოგაწრ-თობს, საკუთარ თავს, საკუთარ ჭკმდარიტ არსს გაპოვნინებს, სიქველის საწყისსა და უუამობის სამანებს მიგაბრუნებს და მაშინ, ამ ახალი სიმაღლიდან განახლებულის სუ-ლითა და შემართებით გააცნობიერებ და გადააფასებ ნებისმიერ არსებას, ნებისმიერ არსებას თუ მოვლენას და ისეთ და უმნიშვ-ნელო გასაჭირსაც, როგორცაა პატიმრობა, ოთხკედელშუა გამომწყვდევა, გიხსნის და, რაც მთავარია, დასაბამს აძლევს შენში ახალ, ჭკმდარიტ ცხოვრებას, შინაგანი თავისუფ-ლების შუქით განსხივოსნებულს.

მაშ ასე, სივრცეების პატარა ბინადარო, შენ მხოლოდ მშვენიერი სიმბოლო ხარ იმ თავისუფლების, ამ ზნელ საკანში რომ იწყო აღმოცენება. ოდესღაც მტრედისფერი და-არქვებს რიყრაჟს, როცა კაცობრიული ცნობი-ერების გარიყრაჟზე პატრიარქთა დიდმა წინაპარმა ნოემ წარღვნისეულ სტიქიათა დაცხრომისას გამოგტყორცნა კიდობნიდან, როგორც მაცნე გადარჩენილი კაცობრიობ-ის ახალ საფეხურზე აღზევებისა, და შენ მა-შინ ცნობიერების გარიყრაჟის სიმბოლოდ იქეცი. სპეტაკზე უსპეტაკესად გიხილა ზე-ცად გარდმოსული იორდანზე წინამორ-ბედმა უფლისამან და ნათლისმცემელმა, როცა ლაჟვარდოვანი სიწმინდის მისაღებად მოიწიფა კაცობრიული გონი, და ეს ახალი განწმენდილი ცნობიერება მიგვაახლებს ჭკმდარიტებას, ხოლო ჭკმდარიტება თავის-უფლების ძალაში ფრთებით გვაუნჯებს. ანგელოსის ორი ფრთა ფრესკაზე მაღალი ცნობიერი ცხოვრების ხატია, ხოლო ქერუ-ბიმის ექვსი ფრთა ხატი განუსაზღვრელად უფრო მაღალი ცნობიერებისა, და ვინ უნდა გაგიმართოს მზერა შენ, უფალო, რომელი ყველგან ხარ და ყოველივეს ადავსებ მაღლი-თა შენითა. ეს შენ მოგვივლინე სულიწმინ-დის ხატად ელვარე ნიშნით მოსილი პატარა მტრედი, სხეულისმიერი საკანის წიაღში რომ აღგვინთებს ცნობიერების კანდელს და გვაზიარებს ანგელოსურ ბუნებას შენსას, უკვდავებისა და თავისუფლების საწინ-დარს. ჭკმდარიტად არსებობს შენგან დადგე-ნილი ცით დედამიწამდე დამავალი და მი-წით ზეცამდე აღმავალი ანგელოსური კიბე ცნობიერების ხარისხებისა, შენგან რჩეული ერის ნუგეზად რომ იხილა ოდესღაც ბიბ-ლიურმა იაკობმა. შენა ხარ, მტრედო, ხატი ცნობიერების ამ სიმაღლეთა ერთიანობისა. ვუშუერ სივრცეში შენს დაუსრულებელ ნა-ვარდს, როგორც ჩემი სულის პროექციას გარე სამყაროში და ვტკბები მშვენიერი სიმ-ბოლოთი, რომლის ჭკმდარიტმა არსმა ჩემ-შივე იწყო აღმოცენება.

მერაბ კოსტავა

1978 წელი



მერაბ კოსტავა

ფოტოზე: მერაბ კოსტავას ხელნაწერი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები

1991 წლის 26 მაისს, საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტობის ექვსმა კანდიდატმა: გვიად გამსახურდიამ - წარადგინა საარჩევნო ბლოკმა მრგვალი მაგი-და - თავისუფალი საქართველო, ირაკლი შენგელაიამ - წარადგინეს „დას“-მა, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ და ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა, ჯემალ მიქელაძემ - წარადგინა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, ვალერიან ადვაძემ - წარადგინა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირმა, თამაზ კვაჭანტირაძემ - წარადგინა საქართველოს თავისუფალ დემოკრატიულ კავშირმა და ნოდარ ნათაძემ - წარადგინეს საქარ-თველოს სახალხო ფრონტმა, ამომრჩეველთა ჯგუფმა და საქარ-თველოს რესპუბლიკურმა პარტიამ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს ესწრებოდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები ნიდერლანდებიდან, საფრანგე-თიდან, ფინეთიდან, აშშ-დან, ავტრიიდან, დანიიდან, ჩეხოსლოვა-კიიდან, სსრკ-დან, ესტონეთიდან, ლატვიაიდან და გერმანიიდან.

არჩევნები საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის 83,11 % -მა. არჩევნებს ბოიკოტი ორმა აფხაზურმა ქალაქმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა გამოუცხადა.

საარჩევნო ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

გვიად გამსახურდია	86,26 %
ირაკლი შენგელაია	0,91 %
ჯემალ მიქელაძე	1,7 %
ვალერიან ადვაძე	8,15 %
თამაზ კვაჭანტირაძე	0,29 %
ნოდარ ნათაძე	1,22 %

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობამ ხმათა აბსოლუტური უმრავ-ლესობით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი - გვიად გამსახურდია აირჩია.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მარად აქტუალური ვიდეო-მიმართვის სტენოგრაფიული ჩანაწერი

...რა დასამალია, საინფორმაციო ვაკუუმი არის შექმნილი ჩემს გარშემო, კანონიერი ხელისუფლების გარშემო. ვრცელდება უამრავი დეზინფორმაცია ხუტჩის მიერ, ამ ე.წ. ტელევიზიის მიერ. სიმართლის გარკვევა რასაკვირველია უადრესად საშუროა დღეს მრავალ პრობლემასთან დაკავშირებით. მომდის წერილები, მართალია ყოველნაირად ხელს უშლის ფოსტა, მრავალი ადამიანი მეკითხება საქართველოში შექმნილი დღევანდელი ვითარების შესახებ, მეკითხებიან თუ რამ მოიტანა ეს ყოველივე, რა გამოსავალი არსებობს, მეკითხებიან ბრძოლის მეთოდების შესახებ, მეკითხებიან უცხოეთთან დღევანდელი ჩვენი ურთიერთობის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა დღეს უცხოეთში, როგორც მოგეხსენებათ მე ფინეთსა და ავსტრიაში ვიყავი, ასე, რომ ბევრი რამ აწუხებს დღეს ჩვენს საზოგადოებას.

მე დავიწყებ მთავრითა და უმთავრესით. როგორც ხედავთ მეგობრებო, ამ ერთმა წელმა პუტჩის შემდეგ, მოგვიყვანა ეროვნულ კატასტროფამდის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ყოველგვარ ზნეობრივ კატასტროფამდის. ეს ყოველივე, მიუხედავად იმისა, რომ მე წინასწარმეტყველი არ გახლავართ არც მაქვს არავითარი პრეტენზია, მე მოგახსენეთ ჯერ კიდევ 1991 წელს, საქართველოს ტელევიზიით არაერთხელ სექტემბერში და განსაკუთრებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე 8 ოქტომბერს 1991 წლის, თუ სადამდე მოგვიყვანდა ჩვენ, სადამდე მიიყვანდა საქართველოს ის პუტჩი, რომელიც იმჟამდ უკვე დაწყებული იყო. ვინაიდან ამ პუტჩის ინსპიტრატორები იყვნენ საქართველოს უზოროტესი მტრები და ამ უზოროტეს მტერთა შორის უმთავრესი დღეს საქართველოს განაგებს და დღესდღეობით არ გამოჩნდა ძალა, რომ მას დაუპირისპირდეს. რა არის ყოველივე ამის მიზეზი. მსოფლიო იმპერიების ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ საბედნიეროდ მხოლოდ წელს, როგორც მოგეხსენებათ დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა დასავლეთში და ერთ-ერთი უზოროტესი მტერი საქართველოსი, მისი კანონიერი ხელისუფლებისა, ქართველი ხალხისა, წავიდა პოლიტიკური არენიდან, ღვთის შემწეობით და ალბათ იქნება რაღაც ცვლილებები დასავლეთის პოლიტიკაში, უნდა ექიზნიოთ ამის იმედს, კეთილის მომსწავნებელი ნიშნები ჩანს, ძალიან დაინტერესდნენ საქართველოში შექმნილი მდგომარეობით ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, კერძოდ უადრესად მლიერი ორგანიზაცია ინგლისის ჰელსინკის ჯგუფი, რომლის დელეგაციაც იყო ამ ეგრეთ წოდებულ არჩევნებზე და რომელმაც მოაშხადა დიდი დასკვნა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ, ამ ცრუ არჩევნების შესახებ და შევარდნაძის უზუზუპატორული, დიქტატორული რეჟიმის შესახებ, ყველა იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ რასაც სჩადის შევარდნაძის რეჟიმი დღეს საქართველოში. აქ პირველად, სხვათაშორის ყოველნაირად ამუხრუჭებდნენ ამას, როგორც მოგეხსენებათ ბუშის ავტორიტეტი ძალიან ძლიერი იყო მსოფლიოში, ყოველნაირად ამუხრუჭებდა ის თვით პრესაში ჭეშმარიტი ინფორმაციის გატანასაც; პირველად ამ ხნის განმავლობაში, აქ ხმა დასძრეს იმ წამების, იმ ბარბაროსულ მეთოდებზე, რომელსაც იყენებს შევარდნაძე-იოსელიანის ბანდა პოლიტპატიმრების მიმართ, კერძოდ ზაზა წიკლაურის მიმართ. აღწერილია ზუსტად ზაზა წიკლაურის მდგომარეობა, ამ ადამიანებმა შეაღწიეს, ინგლისის ჰელსინკის ჯგუფის წევრებმა შეაღწიეს ციხეში, ისინი განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ციხეში ფორმიან თანამშრომლებთნ ერთად ვიღაც უცნობი ახალგაზრდები იყვნენ, ავტომატიანი ახალგაზრდები, რომლებიც მბრძანებლობდნენ ამ თანამშრომლებზე და მათ კარგი დასკვნა გააკეთეს, გააკეთეს დასკვნა, რომ მათ, ფაქტიურად კრიმინალური ბანდები მართავენ დღეს საქართველოს. ეს კი არის იგივე, რაც ხდება სომალიში და სომალის პერსპექტივა უკვე თანდათანობით იკვეთება საქართველოში, თუ გაგრძელდა ეს კრიმინალური ანარქია მთავარი კრიმინალის შევარდნაძის მეთაურობით. ამ დასკვნამდე უკვე მიდის მსოფლიო, სადაც არის ნიშნები, რომ დაიწყება ძალზე სერიოზული მხილება შევარდნაძის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმისა, ამ კრიმინალური ბანდების თვითნებობისა საქართველოში და ადრე თუ გვიან დაედება ზღვარი მათ თვითნებობას.

მაგრამ მეგობრებო, ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება, მაინც ძალზე მაფიქრებს ერთი თვალსაზრისით; კი ბატონო, გამოვაფიქნეთ ყველა დამნაშავე, გამოვწილია, მათ თავიანთი თავი უკვე გამოავლინეს, მათ თავიანთი თავი უკვე წარმოაჩინეს ხალხის წინაშე, ნუთუ ჩვენ უნდა დავადგეთ ანგარიშსწორების გზას? არამც და არამც მეგობრებო, ეს მიგვიყვანს კიდევ უარეს კატასტროფამდის, კიდევ უარეს ანარქიამდე, სისხლისღვრამდის, მაინც უნდა მივცეთ საშუალება ზოგიერთ მათგანს, ვინც რასაკვირველია საქმით გამოისყიდის თავის დანაშაულს, უნდა მივცეთ საშუალება, რომ დაადგეს გამოსწორების გზას და შეინაოს ყოველივე ის, რაც ჩაიდინა. არის ნიშნები იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანი უკვე დაფიქრდა იმაზე, თუ რა ჩაიდინა, არის ამის ნიშნები, დაფიქრდა, ამას დიდი სიბრძნე არ სჭირდება და იცის, რომ საქართველოში არავის არ შერჩენია ბოროტება ერის წინაშე, არავის არ შერჩენია დანაშაული ერის წინაშე, მოღალატეობა, არსებობს მთელი მაგალითები იგივე ორჯონიკიძისა, იგივე მახარაძისა, იგივე ბერბიჭაშვილისა და სხვებისა მრავალთა, რომელთა რიგში მათ თავიანთი თავი ჩააყენეს. ეხლა მრავალი ცდილობს მე როგოც ვატყობ თავის დაღწევას, არ სურს შეირაცხოს მო-

ღალატეთა წყეულ გალერეაში ამ მოღალატეებთან ერთად და როგორც ჩანს აპირებს საქმით გამოისყიდოს თავისი დანაშაული. ჩვენ ყოველნაირად უნდა შეუწყოთ ხელი ასეთ ადამიანებს, არ არსებობს მეგობრებო უპატიებელი ცოდვა, თვით უფალი გვასწავლის, თვით უფალი გვასწავლის, რომ უკეთუ შეინანებთ, შეგინდობთო. ჩვენც უფლის მომზამენი უნდა ვიყოთ ამ სამშინელ დროში, ამ სამშინელ მდგომარეობაში, სიტუაციაში და უნდა მივცეთ საშუალება ამ ადამიანებს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ცრუ ფანდი, როგორც უკვე იყო მრავალჯერ მეგობრებო, ეს არ უნდა იყოს ნამდვილი საქმით გამოსყიდვა თავიანთი დანაშაულებისა, მე ყველას ვგულისხმობ, არავინ არ არის, არავინ არ არის მეგობრებო ღვთის მიერ საბოლოოდ გაწირული და თუ ღმერთი არ სწირავს საბოლოოდ ადამიანს, არც ჩვენ გვაქვს უფლება რომ ვინმე საბოლოოდ გაეწიროთ. კარგად დაფიქრდნენ რა ჩაიდინეს, კარგად დაფიქრდნენ რა დანაშაული აქვთ საკუთარი ერის წინაშე, ვინც კარგად დაფიქრდება, ვინც დროზე დაადგება სინანულის გზას და ვინც საქმით დაგვიმტკიცებს, ჩვენ დეკლარაციები, ინტერვიუ თუ სხვაგვარი განცხადება ჩვენ არაფერს გვეუბნება, ვინაიდან მთავარია საქმე, «საქმემან შენმან გამოგაჩინოს» - აი ეს უნდა ვუთხრათ ასეთ ადამიანებს და უკეთუ საქმე მათი მათ გამოაჩენს, ჩვენ მათი საწინააღმდეგო არაფერი არ გვექნება იმიტომ, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ. ჩვენ ცრუ ქრისტიანები კი არა ვართ 66 წლის ასაკში მონათლული ნაძალადევად რეკლამისტვის და ფარისევლური ნიღბის გაკეთებისთვის, ჩვენ ნამდვილი ქრისტიანული პრინციპებიდან გამომდინარე ვთვლით, რომ საჭიროა დავადგეთ საყოველთაო შეწყწარებისა და ეროვნული შერიგების გზას. მაგრამ შერიგება მხოლოდ იმათთან, ვინც შეიმეცნა თავისი დანაშაული ერის წინაშე და ვინც მხარში ამოუდგება ერს, ვინც ერის სასიკეთო საქმეს გაკვეთებს, ვინც ერის ხსნისათვის გადასდებს თავს, მხოლოდ ასეთებთან, მხოლოდ ასეთებთან და არა ცრუ, ფარისევლური განცხადებების საფუძველზე ან რაღაც ფანდების საფუძველზე. გვახსოვს ჩვენ ერთი ასეთი ამბავი, 24 ივნისი, როდესაც მრავალი გვარწმუნებდა, რომ ისინი ეროვნული ძალების მხარეზე გადმოვიდნენ, ეროვნული ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ და ბოლოს რით დამთავრდა, შეიტყუეს ჩვენი მომხრეები ტელევიზიაში და ამოხიცეს, დააპატიმრეს. ჩვენ სიბრძნე ცხოვრებამ გვასწავლა, უნდა გვასწავლოს, უნდა დაგვბრძნოდეთ უფრო მეტად მეგობრებო, ახლა ასეთი დრო დადგა, ქვეყანა კრახის წინაშეა.

ერთი წლის წინ იყო ილუზიები, შევარდნაძე ჩამოვა, გადაარჩენს საქართველოს, შემოიტანს დოლარებს, შემოიტანს მარკებს, შემოიტანს ინვესტიციებს, შემოიტანს პროდუქტებს, სურსათს და სხვა. დაპირებები მართლაც უხვია დღესაც, ალბათ ნახავდით ბუშის დაპირება, უკვე პოლიტიკური არენიდან მიმავალი ბუშის დაპირება, რომ ის სთხოვს ევროგერთიანებას და არა ამერიკის რომელიმე დაწესებულებას ან გაერთიანებას, ის სთხოვს ევროგაერთიანებას, რომ საქართველოს მისცეს ფქვილი, აი ასეთი დაპირებებით კვებავდნენ დღემდე, და... საქართველოს ვერავითარი ფქვილი ვერ უშველის, ვინაიდან კრიმინალური ბანდები, რომლებსაც ფაქტიურად ხელში აქვთ ხელისუფლება ჩაგდებული, ყველაფერს მიითვისებენ. მთელი დოვლათი საქართველოსი მითვისებულია და განიავეებულია, გატანილია თურქეთში და გაყიდილია მეგობრებო. ფოთი არის მაფიების სათარეო ადგილი, სადაც ყველაფერი იყიდება, სანამ მაფიები არ აილგამება, სანამ ეს კრიმინალური ბანდები არ აილგამება საქართველოს არაფერი ეშველება ეკონომიკური თვალსაზრისით და არც პოლიტური თვალსაზრისით, სანამ მთავარი მოღალატე საქართველოს სათავეშია. რომელიც ჩამოსვლის პირველივე დღიდან პირდებოდა ქვეყანას სტაბილიზაციას, დამნაშავეობის აღმოფხვრას, ეკონომიურ კეთილდღეობას, სინამდვილეში დამნაშავეობა უფრო მეტად გააძლიერა, ვინაიდან დამნაშავეთა სამყაროს მიერაა იგი ჩამოყვანილი და დამნაშავეთა სამყარო მისი ერთ-ერთი დასაყრდენია. ამ პიროვნებას ერთადერთი გამოსავალი აქვს, რომ გადადგეს, არავითარი სხვა გამოსავალი მას არა აქვს, თუ სურს გამოისყიდოს თავის დანაშაული ერის წინაშე. მე არავის რასაკვირველია რეკომენდაციებს არ ვაძლევ, მე ჩემს აზრს გამოვთქვამ მეგობრებო და საქართველოს ხსნისათვისაც სხვა გზა არ არსებობს, გარდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა.

ახლა მე ვიცი, რომ ბევრი საყვედურები გაისმის ჩემს მიმართ, კანონიერი ხელისუფლების მიმართ, თვით ჩვენს მომხრეებშიც, რომ მე დროზე არ ავლაგმე თურმე ეს აბანდები და დევუშები აი ამ მოღალატური ხელისუფლების დამყარება საქართველოში. მეგობრებო, მარტო კაცი ჭამამიაც ბრალიაო, არის ქართული ანდაზა. ფაქტიურად მე დამტოვეს მარტო. გაიხსენეთ ჩემი მოწოდებები დეკემბრის პუტჩის წინ, მიტინგზედაც აღარ მოდიოდა ხალხი, მართალია დაშინებული იყო, მე მესმის, მაგრამ გაიხსენეთ ლიტვა? როგორ ამოუდგა ლიტველი ხალხი მხარში ლიტვის ხელისუფლებას, ლანდსბერგისს, 13 იანვრის მოვლენების დროს, თვეების განმავლობაში მორიგეობდა ათასობით კაცი ლიტვის პარლამენტთან, ჩვენთან კი? რა დაინახეს სიცარიელე მთავრობის სასახლის მოედნის წინ, აი მაშინ დაიწყეს პუტჩი. ასე რომ, ხალხმა თავის სინდისშიც ჩაიხედოს. თავის სინდისშიც ჩაიხედოს იმან, ვინც ამას ჩვენ გვაბრალებს. და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი არ გვაიარაღებდა ჩვენ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი აიარაღებდა პუტჩისტებს. ჩვენ კი

გადაკეთებული ავტომატების ანაზარად ვიყავით დარჩენილნი და შიგნითაც, ნახევარზე მეტი მოღალატე იყო მეგობრებო. ამ მწარე სიმაართლეს დღეს გეუბნებით. მთავრობის სახლის დამცველთა შორის ნახევარზე მეტი და თვით შტაბის უფროსი მოღალატე იყო. აი, ასეთ მდგომარეობაში ჩამაგდეს მე და ნუ გიკვირთ შედეგები, ვინაიდან ყოველი ერი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც მას ჰყავს, ეს არ დაგვავიწყდეს.

ამიტომ უნდა დავიმსახუროთ უკეთესი. უბრძოლველად მივიღეთ თავისუფლება, მზამზარეული თავისუფლება და ამიტომაც დავკარგეთ ის. დღეს კი ბრძოლით ხელახლა ისევ უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება, დამოუკიდებლობაც და კეთილდღეობაც. ბრძოლის გარეშე, ვერავინ ვერაფერს ვერ მოიპოვებს მეგობრებო. არის გამოცოცხლება ეროვნული მოძრაობისა დღეს, მაგრამ დიდი დაქსაქსულობაა. ძალიან ეწუხვარ, რომ ზოგიერთი პატივსაცემი პიროვნება ეროვნულ მოძრაობაში ვერ პოულობს საერთო ენას თავის თანამომძესთან, დაქსაქსულია, ესე იგი ცალკეულ ნაწილებად არის დაყოფილი ეს ჩვენი მოძრაობა. უნდა გაერთიანდეს მოძრაობა, უნდა მოხდეს დიდი კონსოლიდაცია. ეს ყოველივე შეუძლებელია მრგვალი მაგიდის აღდგენის გარეშე. მრგვალი მაგიდა არის სიმბოლო ჩვენი ერთიანობისა და ერთიანი ბრძოლისა. მრგვალმა მაგიდამ გააუქმა საქართველოში კომუნისტური რეჟიმი, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, არჩევნებით, რეფერენდუმით. მრგვალი მაგიდა არის უდიდესი ძალა დღესაც, თუმც პარალიზებულია. მრგვალი მაგიდა უნდა აღდგეს. მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები, დამფუძნებელი პოლიტიკური ორგანიზაციები უნდა გააქტიურდნენ და ახალი ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნა, თუ ისინი ნამდვილი ორგანიზაციებია და არა ზუნტის მიერ ეროვნულ მოძრაობაში შემოგზავნილი, ყველა ნამდვილი ჭეშმარიტად პოლიტიკური ეროვნული ორგანიზაცია უნდა შემოვიდეს მრგვალ მაგიდაში. ყველა ორგანიზაცია უნდა გაერთიანდეს მრგვალ მაგიდაში, უნდა აირჩიოთ რეგიონალური სპიკერები, დროებითი სპიკერები, რიგრიგობით უნდა წარმართონ არჩეულმა სპიკერებმა მრგვალი მაგიდის მუშაობა თბილისში იქნება ეს თუ რეგიონებში. მრგვალი მაგიდის სპიკერობიდან მე არ გადავმდგარვარ, მე კვლავ სპიკერი გახლავართ მრგვალი მაგიდის, მაგრამ ცალკეულ ორგანიზაციებს მრგვალი მაგიდის ცალკეულ განყოფილებებს სჭირდებოდათ სპიკერები მეგობრებო. მათ უნდა დაიწყონ მუშაობა კონსოლიდაციისთვის, ერთიანობისთვის და ქვეყანა კრიზისიდან და ქაოსიდან უნდა გამოიყვანონ. ასე, რომ ბრძოლის გარდა სხვა გზა არ დაგვრჩენია.

მე ყოველ ღონეს ვხმარობ იმისთვის, რომ მსოფლიოს ჰქონდეს სწორი ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ფაქტობრივად გავარღვიე საინფორმაციო ბლოკადა ფინეთში, თურქეთში, ავსტრიაში შესვლით. მიუხედავად იმისა, რომ ზუნტამ გააყალბა ჩემი მოგზაურობა, თვით ისიც კი სთქვს, რომ ვითომ თურქეთში მე ყალბი პასპორტით წავედი, თურქს განაცხადებინეს. ამასთან დაკავშირებით არსებობს საერთაშორისო სასამართლო სტრასბურგისა, სადაც უახლოეს ხანში შეტანილი იქნება საჩივარი და ჩემი პასპორტის ასლი, სადაც თურქეთის საბაჟოს შტამშია ჩარტყმული. თურქეთში მე შესანიშნად მიმიღეს, შევხვდი იქ პოლიტიკურ მოღვაწეებს, პარლამენტის წევრებს, მაგრამ რასაკვირველია შემდეგ ისევ საერთაშორისო პოლიტიკური მაფიის ჩარევით იქაც შემიშალეს ხელი, მაგრამ ავსტრიაში, ფინეთში ფრიად ნაყოფიერი იყო ჩემი მოძრაობა, რაც მთავარია გაირღვა საინფორმაციო ბლოკადა და დიდ ბრიტანეთში უკვე ძალიან დაინტერესებულინი არიან საქართველოში შექმნილი მდგომარეობით და როგორც მოგახსენეთ ჰელსინკის ჯგუფის შესანიშნავი დასკვნა არსებობს, საბოლოოდ უკვე აეხადა ფარდა ყველაფერს. ყველასათვის ნათელია ეს დიდი პოლიტიკოსი თუ რა მიზნებით მოევლინა საქართველოს. ყველასათვის ნათელია, რომ დღეს საქართველო ნარკობიზნესის ხიდად არის ქცეული აზიას და ევროპას შორის. რომ საქართველოში არის ტერორი, კრიმინალური ანარქია, ადამიანის უფლებების დარღვევა, პატიმრების წამება ციხეებში და ყოველგვარი უკეთურება. ასე რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება მეგობრებო, ადრე თუ გვიან მსოფლიო განაჩენს გამოუტანს ამ კრიმინალურ რეჟიმს და სანამ დროა, თავს უშველონ, შეინაწონ ერის წინაშე, ღვთის წინაშე, უფალი მოწყალეა და ერი მოწყალეა. გვარავდეთ ღმერთი, ჰვარავდეს ღმერთი საქართველოს, და მალე გვეხილოს აღდგენილი კანონიერი ხელისუფლება.

მე ხშირად მეკითხებიან, რა არის საჭირო იმისთვის, რომ თქვენ დაბრუნდეთ საქართველოში, რა შემთხვევაში დაბრუნდებით. მეგობრებო, საერთო სახალხო მოთხოვნის გარეშე არ დავბრუნდები. აი ამას მოგახსენებთ მეგობრებო, ვინაიდან თქვენ მოგეხსენებათ რა პირობებია შექმნილი იმისთვის, რომ მე არ დავბრუნდე. საერთო სახალხო მოთხოვნა ჩემი დაბრუნების იქნება წინაპირობა ჩემი დაბრუნების. მე პიროვნულ ხელიუფლებას არ ვეჭიდები თქვენ კარგად იცით, მე საპრეზიდენტო სკამს არ ვეჭიდები, ჩემი მთავარი მიზანია საქართველოს ხსნა. მჯერა, რომ უფალი იხსნის საქართველოს და საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო შვილები, მისი თავდადებული და თავგანწირული შვილები. საქართველოს იხსნის მისი ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა. აი ამ რწმენით დაგემშვიდობებით.

გვიად გამსახურდია

გროზნი, 15 იანვარი 1993 წლისა

გაგრძელება, დასაწყისი 3-ე ნომერში

საინგილოში არსებული სიტუაცია თავისი ტრაგიზმით ბიბლიურ წარღვნის ტოლფასი იყო; ფარული სამლოცლო კიდობნები აქაური ხალხისთვის მართლაც ნოეს კიდობანს წარმოადგენდნენ.

გადარჩენილმა ქართულმა მოსახლეობამ განდგურებული ეკლესიების ხატები, წმინდა წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები სახლებში გადაიტანა და ფარულად გააგრძე-



ფოტოზე: ხუციშვილების ფარული სამლოცველო სახლი. კაკის ღვთისმშობლის ეკლესიის განადგურების შემდეგ ეკლესია ფარულად ამ სახლში განთავსდა.

ლა ქრისტიანული რიტუალების შესრულება. ასე ჩამოყალიბდა უნიკალური და განსაკუთრებული ფენომენი ფარული სამლოცველოებისა [გამაოგნებელი და გასაოცარი ფაქტია ის, რომ დამპყრობლებმა ტოტალური ზეწოლის და მკაცრი ყოველდღიური კონტროლის მიუხედავად, ასეთ მცირე ტერიტორიაზე სამლოცველოების აღმოჩენა და მისი განადგურება ვერ შეჰსძლეს. ეს მართლაც დაუჯერებელი ფაქტი, მთელი კაკის მოსახლეობის საოგარ ერთსულოვნებაზე მეტყველებს]. ხსენებული სამლოცველოები ფაქტურად მოქმედი ეკლესიის ფუნქციას ასრულებდნენ, სადაც ფარულად იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ, ანთებდნენ სანთლებს, აკმევდნენ საკმეველს და ღმერთს გადარჩენას შესთხოვდნენ. ისინი აქაურ ადამიანებს წარმოუდგენელ ძალას აძლევდნენ. კიდობნები ხალხს ღმერთთან, ეკლესიასა და საკუთარ დიდ წარსულთან ჰქონდა გაიგივებული.

სიტუაციის არქიტრაგიულობას თვალნათლივ ადასტურებს ისეთი მრავლისმეტყველი ფაქტი, როგორიცაა ქართული სიმღერებისა და ცეკვების ინგილოთა ყოფიდან გაქრობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. წარმოსადგენია ფარული „მაყრული“ ან ფარული „ნადური“ ან და ფარული „ლაშქრული“? შემორჩა ის, რასაც დამპყრობლები ვერ უშლიდნენ – მიცვალებულთა „შატირება“ (გე-

პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო: ავტორი იური მეჩითოვი, ხაშურის რაიონის სოფელ გრავეს მკვიდრის - 1918 წლის 25 მაისს გარდაცვლილი დავით კაპანაძის საფლავის წარწერა

გაზეთი

აი ია.

შპს აი ია.

საიდენტიფიკაციო ნომერი:
404890999

შრომის ქუჩა 14/10

0179 თბილისი

რედაქცია

ხატია ლუდუშაური

ზურაბ ხუციშვილი

ტელეფონი: 8 32-23 80 11

მობილური: 8 58-24 04 38

ელფოსტა: info@ai-ia.info

ტექნიკური დირექცია:

GETMANPICTURES

© აი ია.

WWW.AI-IA.INFO

მალხაზ ნუროშვილი

ფარული ქრისტიანობა საინგილოში

კაკელი დედაბერი დარეჯანის და სხვა ქედუხრელი ქართველების ხსოვნას

სამლოცველო ოჯახები, წმინდა კიდობნები

ნეტიკური მესიერების წყალობით ეს „შატირება“ მრავალხმიანი იყო და ყველაზე ინტიმური - ის, რასაც დედა უმღერდა თავის პატარას - „ნანა“, რაც თითქმის იგივე შატირება გახლავთ (აქ მხედველობაში მისაღებაა ის ფაქტი, რომ როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, კაკში არც ერთი ზრდასრული მამაკაცი არ გადარჩენილა და ცხადია მამაკაცთა უფროსი თაობის გარეშე, ტრაგიკულ გარემოებებში აღზრდილ ახალ თაობას სიმღერები უკვე აღარ ეცოდინებოდა). მიუხედავად ქრისტიანობის, ანუ ქართველობის ასეთი ტოტალური, არნახული დევნისა, საინგილოს ქართველებმა მართლაც შეუძ-



ფოტოზე: ქიტაშვილების ფარული სამლოცველო. წმ. ბარბარეს საყდრის წმ. ბარბარეს ძეგლი ხატი

ლებელი შეძლეს და ფარული სამლოცველოების, ნასაყდრალების მეშვეობით ქრისტიანობა და ქართველობა შეინარჩუნეს. ამ ფაქტს საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია, სრულიად უნიკალური მოვლენაა და მხოლოდ და მხოლოდ ფარული ქრისტიანული სამლოცველოებისა და „საყდრების“ დამსახურება!

გადმოცემის თანახმად, ამ ყველაფერს სამღვდელოების შთამომავლები პატრონობდნენ. წმინდა წიგნებსა და სხვა საეკლესიო ნივთებს კიდობანებში ფარულად ინახავდნენ, რის გამოც ასეთ სამლოცველოებს “ხუციანთ კიდბანი”(ხუციშვილებისა), “ქიტაინთ კიდბანი”(ქიტაშვილებისა), “ბულუღიანთ კიდბანი” (ბულუღაშვილებისა), „ჟონგაანთ კიდბანი“ (დღევანდელი ოთარაშვილების გვარის ერთი ნაწილი, რომლებიც წინათ ჟონგაშვილები ყოფილან) ეწოდათ, თუმცა შემადგენელი მთელი ბიბლიურ კიდობანთანაც ჰქონდეს საერთო.

მღვდელ იროდიონ ოქროპირიძეს, რომელიც საინგილოში თუ არ ვცდები XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში მოღ-

ფოტოზე: ქიტაშვილების ფარული სამლოცველო



ვაწეობდა, თავის ნაწერებში საოცარი ფაქტები აქვს აღწერილი იმისა, როგორ ეზიარებოდა, მარხულობდა და ინათლებოდა საინგილოს ქართული მოსახლეობა ისეთ სიტუაციაში, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. აი რას წერს იგი: “თუ ინგილოს (მარხვის დროს, მ. ნ.) თათარი ბეგი ეწვეოდა, შემდეგნაირად გაუმასპინძლებოდა: სტუმრის პატივსაცემად თათრულ წესზე დიდ ქვამზე ფლავს მოხარშავდნენ, ფლავის მომზადების დროს ქვამში სპილენძის თევზს ჩააყობდნენ და ბრინჯის ფაფას გაყოფდნენ, ერთი ნაწილი სტუმრისათვის, მეორე ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. სტუმრის წილ ფლავში ერბოს ჩადებდნენ მის დასანახად, თავიანთ წილში კი კაკლის ზეთს ჩაასხამდნენ ხოლმე, ფლავს კი იმ ერთი ქვამიდან იღებდნენ, რომ სტუმარს ეჭვი არ აღეო” /ი. ოქროპირიძე “ქრისტიანობა საინგილოში”, მნათობი 1989, N#12 / 5, 6, 7, 9/)

ბავშვების ნათლობის შესახებაც მამა იროდიონი შემდეგს გვითხრობს: „...როგორ და საიდან ჩნდებოდა მღვდელი ამ თათრებში იკითხავთ, ქიზიყიდან სამკალში სამუშაოდ გლეხები მოდიოდნენ, ხელში ნამგალები ეჭირათ და თავზე ხილაბანდები ჰქონდათ მოხეული, იმათში ერთ-ერთი მღვდელი იყო, რომელიც ინგილოებს წინასწარ ჰყავდათ შეპირებული. ინგილოებმა წინათ და ზოგან ახლაც ისეთი დაფარული სახლები



ფოტოზე: ბულუღაშვილების კიდბანი

იციან, რომ სხვენი საკუქნაოდ და ოთახად ჰქონდათ გამოყენებული. სხვენზე სინათლე არსაიდან არ შედიოდა. ეს განპირობებდა მათს იდუმალ მოქმედებას. მუშად მოჩვენებულ იმ მღვდელს, დამე იქ აიყვანდნენ და მანამდე მოგროვილ ბავშვებს ჩუმად ნათლავდნენ” /ი. ოქროპირიძე “ქრისტიანობა საინგილოში” მნათობი 1989 N#12 / 5, 6, 7, 9/. ამასვე ადასტურებს დიმიტრი ჯანაშვილი (1851 წლის შემდეგ აქ ამოქმედდა ეკლესია და ხალხი მასიურად ინათლებოდა): „...ბევრს, რომელთაც მის (ანუ მღვდლის, მ. ნ.) მიერ ჰქონდათ მიღებული ნათლისღება, ახსოვდათ თავიანთი ნათლობა 1856 წელს და მღვდელი მირონს არ სცხებდა მეორედ, რადგან მირონცხება არ განიმეორების. ასეთი იყო მაგალითად პაპა ჩემი ისააკ ჯანაშვილი, კაცი მცხოვანი 120 წლისა.” /დ. ჯანაშვილი “შაპ-აბასის შემოსევა საქართველოში და სა-

ინგილო”, თბილისი 1907 / 1, 3, 4, 8, 12, 13/)

იგივე იროდიონ ოქროპირიძე ზიარების ფაქტების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: “ზიარებასაც შემდეგნაირად ასრულებდნენ: წყალკურთხევის, აღდგომის ან სხვა ბედნიერ დღეს, რომელიმე მორწმუნე ინგილო კახეთის სოფლებში წავიდოდა, სეფისკვერის რამოდენიმე ნაწილს და ნათლისღების წყალს წამოიღებდა. იმ წყალსა და სეფისკვერს ერთად გასთქვფდნენ და ნაცარში აურევდნენ. ნაცარს წმინდად ინახავდნენ და თუ სოფელში მომავლადი ავადმყოფის ზიარება დასჭირდებოდათ, იმ ნაცრისას ცოტას ართმევდნენ, წყალში გახსნიდნენ და დაალევინებდნენ (მომავლადს მ. ნ.) /ი. ოქროპირიძე “ქრისტიანობა საინგილოში”, მნათობი 1989, N#12 / 5, 6, 7, 9/” [რა თქმა უნდა ეს წმინდა ნაცარი ფარულ სამლოცველოებში იქნებოდა შენახული, ძირითადად „ხუციანთ წმინდა ოჯახში”, მ. ნ.].

ექვზარეშა, ამ ყველაფრის სულისჩამდგმელნი ფარული სამლოცველო ოჯახები და მღვდელების ფუნქციების შემთავსებელი, “კიდობნების” პატრონი წარმოადგენდნენ, ძირითადად ქალები, ე.წ. „ბებერა“-ი და ამ ფარულ სამლოცველოებს შორის მთავარი, ყველა სამლოცველოების დედა - „ხუციანთ ოთხთავი“, რომელიც ხუციშვილების ცნობილი გვარის მღვდლების ოჯახში განთავსდა. აქ ინახებოდა ამ გვარის განადგურებული ეკლესიის საეკლესიო ნივთები, მათ შორის ვახტანგ მეფის მიერ სტამბური წესით გამოცემული და კახის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიისათვის შეწირული წმინდა ოთხთავი (ამ საკითხს სერიოზული შესწავლა სჭირდება). ფაქტურად ხუციანთ ფარული სამლოცველო საკათედრო ტაძრის ფუნქციას ასრულებდა, იგი ფარულად წარმართავდა მთელი საინგილოს რელიგიურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ამ საქმეს ბევრი ჩვენი წინაპარი შეეწირა; მ. ჯანაშვილი თავის „საინგილოში“ მოგვითხრობს, რომ სახრჩობელას ვერ ასცდებოდა ის, ვისაც სანთლის დანთებაში მიუსწრებდნენ, ანდა ვინმეს მარხულობას გაუგებდნენ. მას მოჰყავს მაგალითი, რომ სულთანმა აბელ ხუციშვილი სწორედ ქრისტიანული წესებისა და საეკლესიო ნივთების შენახვისათვის ჩამოახრჩობინა, ხოლო ჰარემა დედავაცებმა ზილფი ჯანაშვილი შამფურებით დახვრიტეს და ისე მოკლესო.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ სამლოცველოებიდან უპირველესი მაინც „ხუციანთ კიდბანი“ იყო. დიდი ალბათობით, პირველი ფარული სამლოცველო სწორედ ის გახლდათ. მისი მაგალითის საფუძველზე, ხალხის გამრავლებასთან ერთად, სხვა ადგილებშიც იქნა ფარული ფარული სამლოცველოები ანუ „წმინდა კიდობნები“ შემოღებული. სავარაუდოდ 1845 წლის, ანუ სასულთნოს გაუქმების შემდეგ კი, თანდათან უკვე ყველა მამა-პაპისეულმა ოჯახებმა საკუთარი სალოცავი „კიდბანი“ დაიდგა, რომელიც ფაქტურად ოჯახის სამლოცველო კუთხეს წარმოადგენდა. მათზე მ. ჯანაშვილი შესანიშნავად გვიამბობს, როცა ინგილოს სახლის შიდა ინტერიერს აღწერს: [ოთახის] “...მარჯვენა კუთხეში კი, მაღლა ჰერს ქვეშ წმინდა კიდბანი [იდო], რომელიც მეტად პაწიაა და საოჯახო სიწმინდეთ ითვლება და გარდა მამის და ანუ მის მემკვიდრე ვაჟისა, მას ვერავინ შეეხება. მასში ინახავენ საკმელს, ბამბას, ცვინს. საახალწლოთა და სააღდგომოთ მამა ამოიღებს ცვინსა და ბამბას, ცოლს მისცემს, ესეც ჩამოჰქმნის სანთლებს, მერე მამა ანთებს, მიაკრავს „კიდობანს“ და ყველანი წინ ჩამწკრივდებიან და დაიწყებენ ლოცვას” (მ. ჯანაშვილი, „საინგილო”, თბილისი, 1910წ., გვ. 48).

/გაგრძელება შემდეგ ნომერში/

პუბლიკაციების „ყველაშთის ახსნილი დასავლეთი“, „ესაც ვერაპა“ და „აღმოსავლეთიდანაა სინათლე!“ გაგრძელებებს იხილავთ აი ია.-ს 5-ე ნომრიდან.

აი ია. - ს
შემდეგი ნომერი გამოვა
2011 წლის 7 ივნისს